განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
30/04/2018
01/05/2018

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი - შპს**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი - 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე, უნივერსიტეტი ნიუ ვიჟენი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარი, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა. პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 აკადემიური წელი, ანუ 4 სემესტრი. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია სამაგისტრო პროგრამაში დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე. სამაგისტრო პროგრამის შინაარსი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი; პრაქტიკა - 10 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კომპონენტი - 30 კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 30 კრედიტი. სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიული, სტუდენტზე, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან ძირითადად პროფილის მიხედვით, ასევე რამდენიმე მათგანი აგრძელებს სწავლას შემდეგ საფეხურზე. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია უნივერსიტეტისა და სკოლის ბიუჯეტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 30 აპრილსა და 1 მაისს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (რექტორი, ხარისხის სამსახურის უფროსი, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები), პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასწავლო ელექტრონული პორტალი ფუნციონალური სერვისების მიხედვით. პროგრამის სტუდენტები მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, იბეჭდება მათი ნაშრომები, ჩართულები არიან სხვადასხვა ტიპის კურიკულუმის გარე აქტივობებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.5 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან, 1.1, 1.3 და 1.4 კომპონენტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 2.4 და 2.5 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.3 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, 2.1 და 2.2 კომპონენტი კი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.4 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 3.1, 3.2 და 3.3 კომპონენტების შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.2 და 4.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.3 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სადაც 5.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მოქმედია, ჰყავს სტუდენტები, კურსდამთავრებულები, რომელთა ნაწილი სწავლას აგრძელებს განათლების შემდგომ საფეხურზე, ხოლო ნაწილი დასაქმებულია პროფილის მიხედვით, პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, არის სიცოცხლისუნარიანი და ექვემდებარება განვითარებას.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების შესრულების პროცესში გაძლიერდეს კვლევის კომპონენტი, კერძოდ მეტი ყურადღება მიექცეს კვლევის მეთოდების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ვალიდობას;
2. რეკომენდებულია კვლევის პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად სასწავლო კურსში "კვლევის მეთოდები ბიზნესში" ჩართული იყოს პროგრამული პაკეტი SPSS ან STATA;
3. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში დაკორექტირდეს ნაშრომის განმეორებით დაცვაზე დაშვების შესახებ ჩანაწერი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში არსებული ანალოგიური ჩანაწერის გათვალისწინებით, კერძოდ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს უფლება უნდა მიეცეს გადაამუშაოს ნაშრომი და შემდეგ სემესტრში გააკეთოს რეგისტრაცია სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე;
4. რეკომენდებულია პროექტების მენეჯმენტში გამოყენებული იქნეს პროექტების მართვის რომელიმე პროგრამული პაკეტი (მაგალითად, MS Project) და შეივსოს მასში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თუნდაც ინგლისურენოვანი თანამედროვე პროექტების მართვის სახელმძღვანელოთი;

5. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ფინანსური ანგარიშგება“ გაღრმავდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) სწავლების საკითხები, რათა უკეთ იქნეს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგები მიღწეული;
6. რეკომენდებულია გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში, სრულად იქნეს გამოყენებული მათი რესურსები პროგრამის განვითარებისათვის;
7. რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსის ,,ფინანსური ანალიზი“-ს წინაპირობა მოვიდეს თანხვედრაში ამავე კურსის სილაბუსთან;
8. რეკომენდებულია კონკრეტულ სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინოვაციური მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, ელექტრონული კომერცია, საერთაშორისო მენეჯმენტი) დაკონკრეტდეს, როგორც სილაბუსის ავტორი, ასევე მისი წამკითხველი პერსონალი;
9. რეკომენდებულია პრაქტიკის წინაპირობად განისაზღვროს არა სემესტრების რაოდენობა, არამედ სტუდენტის მიერ სავალდებულო დისციპლინების ათვისებული კრედიტების რაოდენობა;
10. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში არსებული ჩანაწერი - დასწრება/აქტივობა რომელიც ფასდება 5 ქულით, დაკონკრეტდეს, ეს დასწრების ქულაა თუ აქტივობის;
11. რეკომენდებულია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისას გამოყენებული იქნას რეფერატები და პროექტები, განსაკუთრებით ისეთ დისციპლინებში როგორიცაა: პროექტების მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი და ა.შ.;
12. რეკომენდებულია პრაქტიკის სილაბუსში მოცემული ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დეტალური რანჟირება;
13. რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პროფესორებისათვის შეთავაზებული იქნას ინტერნაციონალიზაციის პროცესებში ჩართვის მეტი შესაძლებლობები;
14. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში (მაგ. ფინანსური მენეჯმენტი (2008წ.), საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე) (2006წ., 2009წ.), პროექტების მენეჯმენტი (2009-2010წწ.)) ძირითადი ლიტერატურის განახლება;
15. რეკომენდებულია დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლში მეტი ყურადღება დაუთმოს დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია უნივერსიტეტმა დააკონკრეტოს მაგისტრატურაში მისაღებ შიდა გამოცდაზე უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ რომელ სერტიფიკატს უღიარებს კონკურსანტს;
- სასურველია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების მეტად გააქტიურება;
- სასურველია პროგრამის სილაბუსებში ძირითად და დამხმარე ლიტერატურაში თანამედროვე მეტი ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეთავაზება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს. აკრედიტაციის დროს პროგრამის მიმართ რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისიაა განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული, ინოვაციური და შემოქმედებითი აზროვნება, რაც ქვეყნის წარმატების და საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია; უზრუნველყოს უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია; აკადემიური და კვლევითი საქმიანობის შედეგად გადასცეს სტუდენტებს ინფორმაცია და შექმნას ახალი ცოდნა; მაქსიმალურად მოამზადოს სტუდენტი იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მას მომავალი საქმიანობა. მისიიდან გამომდინარეობს ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის მიზანი, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: მიზანია მომზადდეს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარი, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა. მისიის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია მისიასთან. პროგრამის მომზადების წინაპირობა იყო შრომის ბაზრის შესწავლა. შრომის ბაზრის კვლევა ძირითადად დაფუძნებული იყო, როგორც პირველადი, ასევე მეორეული ინფორმაციის წყაროებზე. კერძოდ, შრომის ბაზრის კვლევის პროცესში ჩართული იყო საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე სპეციალიზებული კვლევითი ორგანიზაცია. პროგრამის მიზნები მიღწევადია და მის მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი მატერიალური და ადამიანისეული რესურსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისია; ▪ ”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის დებულება; ▪ გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ მონაცემები შრომის ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია სამაგისტრო პროგრამაში დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე. სწავლის პროცესში არჩევითი სასწავლო კურსების და თავისუფალი კრედიტების კონცენტრაციით მაგისტრანტს შეუძლია ინდივიდუალური პროფილის ფორმირება. მაგისტრის კომპეტენ-ციები, მათ შორის კვლევის უნარი ყალიბდება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის და უნარების სინთეზის საფუძველზე. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის მომზადება მიმდი-ნარეობს ძირითადი ცოდნის (სპეციალობის) და დამატებითი (ხელშემწყობი) ცოდნის სას-წავლო კომპონენტების მეშვეობით. სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მაგისტრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიული, სტუდენტზე, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსიას, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას, ანალიზს, პრაქტიკულს, დემონსტრირებას. მაგისტრანტის კვლევითი უნარის განვითარების მიზნით სამაგისტრო პროგრამით სავალდებულო კომპონენტად გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი. თეორიული ცოდნის განმტკიცების და პრაქტიკული უნარების შეძენის მიზნით მაგისტრანტები გადიან პრაქტიკას, რომელიც არის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტი. სამაგისტრო ნაშრომს მინიჭებული აქვს 30 კრედიტი. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ხდება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დებულების მიხედვით,

რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები, სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი, სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკა და გაფორმების წესი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი. მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში ხაზგასმულია კვლევის მეთოდის და კვლევის მეთოდების კომბინაციის გამოყენების აუცილებლობა და მნიშვნელობა კვლევის პროცესში: ➢ სამაგისტრო ნაშრომების დათვალიერებისას ქვემოთ მოცემული კომპონენტი ხშირ შემთხვევაში სუსტად იყო წარმოდგენილი. კერძოდ არ იყო მკაფიოდ გაწერილი კვლევის მეთოდის ან მეთოდების კომბინაცია, რომელიც აუცილებელია დასახული კვლევის მიზნის მისაღწევად და დასმული კითხვების, თუ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების დასამტკიცებლად, ამასთან მიზანშეწონილია კვლევის პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად სასწავლო კურსში "კვლევის მეთოდები ბიზნესში" ჩართული იყოს პროგრამული პაკეტი SPSS ან STATA; ➢ სამაგისტრო ნაშრომის დებულების მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის განმეორებითი დაცვები მომდევნო წელს არის შესაძლებელი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით მომდევნო სემესტრში, შესაბამისად რეკომენდებულია მიგვაჩნია, სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში დაკორექტირდეს აღნიშნული ჩანაწერი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში არსებული ანალოგიური ჩანაწერის გათვალისწინებით; ➢ რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,პროექტების მენეჯმენტი“ გამოყენებული იქნას პროექტების მართვის რომელიმე პროგრამული პაკეტი (მაგალითად, MS Project) და შეივსოს მასში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თუნდაც ინგლისურენოვანი თანამედროვე პროექტების მართვის სახელმძღვანელოთი; ➢ რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ფინანსური ანგარიშგება“ გარღმავდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) სწავლების საკითხები, კერძოდ ჩაიშალოს ფულადი ნაკადების ანგარიშგება საქმიანობის სახეების მიხედვით (საიჯარო, სადაზღვევო, საოპერაციო სეგმენტების, საინვესტიციო ქონების, გასაყიდად გამიზნული ქონების აღრიცხვა), რათა უკეთ იქნეს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგები მიღწეული;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის დებულება; ▪ გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დებულება; ▪ სამაგისტრო ნაშრომები; ▪ ინტერვიუ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების შესრულების პროცესში გაძლიერდეს კვლევის კომპონენტი, კერძოდ მეტი ყურადღება მიექცეს კვლევის მეთოდების

გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ვალიდობას; ▪ რეკომენდებულია კვლევის პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად სასწავლო კურსში "კვლევის მეთოდები ბიზნესში" ჩართული იყოს პროგრამული პაკეტი SPSS ან STATA; ▪ რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში დაკორექტირდეს ნაშრომის განმეორებით დაცვებზე დაშვების შესახებ ჩანაწერი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში არსებული ანალოგიური ჩანაწერის გათვალისწინებით, კერძოდ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს უფლება უნდა მიეცეს გადაამუშაოს ნაშრომი და შემდეგ სემესტრში გააკეთოს რეგისტრაცია სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე; ▪ რეკომენდებულია პროექტების მენეჯმენტში გამოყენებული იქნეს პროექტების მართვის რომელიმე პროგრამული პაკეტი (მაგალითად, MS Project) და შეივსოს მასში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თუნდაც ინგლისურენოვანი თანამედროვე პროექტების მართვის სახელმძღვანელოთი; ▪ რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ფინანსური ანგარიშგება“ გარღმავდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) სწავლების საკითხები, რათა უკეთ იქნეს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგები მიღწეული;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: პროგრამის სავალდებულო კომპონენტებსა (90 კრედიტი) და არჩევითი სასწავლო კურსები

/ თავისუფალ კომპონენტებს (30 კრედიტი) შორის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კომპეტენციების თანმიმდევრული ფორმირების აუცილებლობიდან გამომდინარე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის შინაარსს:

- სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი
- პრაქტიკული კომპონენტები - 10 კრედიტი
- კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კომპონენტი - 30 კრედიტი

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თითოეული კომპონენტი აღწერილია სილაბუსში, რომელშიც მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლისათვის საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი, სწავლის შედეგები და ცოდნის შეფასების პროცესის დეტალური აღწერა. ცალკეული სასწავლო კურსის მიზანი და შედეგები გამომდინარეობს პროგრამის საკვალიფიკაციო ჩარჩოდან. სამაგისტრო პროგრამით დასახული მიზნების და შედეგების, სასწავლო პროცესის ორგანიზების და გამოყენებული მეთოდების, სასწავლო კომპონენტების შინაარსის და მათი შესწავლის ლოგიკური თანმიმდევრობის ურთიერთშესაბამისობა და მაგისტრანტთა კომპეტენციების მიღწევაზე ორიენტირებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის შესწავლის შედეგად ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სამაგისტრო პროგრამაში ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ ფორმულირებულია სწავლების შედეგები, რომელიც აღწერს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და უნარებს, რომელთა დემონსტრირების საშუალება ექნებათ კურსდამთავრებულებს პროგრამის დასრულების შემდეგ. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია სამაგისტრო პროგრამაში დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე. ”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს: სახელმწიფო სტრუქტურებში (ფინანსთა სამინისტროში, ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროში და სხვ.), საერთაშორისო და ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ადგილობრივ ორგანიზაციებში, საფინანსო-ეკონომიკურ და ბიზნეს-ორგანიზაციებში, კერძო სამეწარმეო და კონსალტინგურ ფირმებში, დაიკავოს მმართველობითი რგოლის მენეჯერის პოზიციები და განახორციელოს მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, ანალიტიკური და სხვა სახის საქმიანობა. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს კვლევას კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების ტენდენციის გამოსავლენად. დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან საუბრისას გაირკვა რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი დასაქმებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა; ▪ "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიურება პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას განხილვებში ჩართულნი იყვნენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის სტუდენტები, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მონაწილეობით ”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობის, მისი აქტუალობის დადგენისა და მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის აღმწერით განსაზღვრული მაგისტრის კომპეტენციების შესაბამისად განისაზღვრა ”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კომპეტენციები, სამაგისტრო პროგრამის მიზნები და სასწავლო გეგმა. სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრირების მიზნით ტარდება მონიტორინგი ანონიმური გამოკითხვის და ანკეტირების მეთოდით. სისტემატიურად ხდება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსობრივი მხარის და სასწავლო პროცესის შეფასება. ეწყობა განხილვები სამაგისტრო პროგრამის სრულყოფისა და მოწინავე გამოცდილების გაზიარების, სამაგისტრო პროგრამის განვითარების, შინაარსის, სასწავლო პროცესის სრულყოფის და სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, პროგრამის შემუშავების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობა ძირითადად პროგრამის სტუდენტების სტაჟირებებისა და პრაქტიკის ობიექტების უზრუნველყოფით შემოიფარგლებოდა, შესაბამისად დაწესებულებამ უნდა გააქტიუროს (კერძოდ, გასაუბრებაში მონაწილეობდა ორი დამსაქმებელი, ხოლო მათ შორის ერთი ნაწილობრივ იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში) დამსაქმებლების პროგრამის შემუშავებასა და განვითარების პროცესში ჩართულობის მექანიზნები და სრულად გამოიყენოს მათი რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა;

- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურება პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში, სრულად იქნეს გამოყენებული მათი რესურსები პროგრამის განვითარებისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო/საერთაშორისო გამოცდების, შიდა/გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სდასუ-ში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და უცხო ენაში (B2 დონე). აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ამასთან, ▪ სასურველია უნივერსიტეტმა დააკონკრეტოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ რომელ სერტიფიკატს უღიარებს კონკურსანტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა; ▪ პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია უნივერსიტეტმა დააკონკრეტოს მაგისტრატურაში მისაღებ შიდა გამოცდაზე უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ რომელ სერტიფიკატს უღიარებს კონკურსანტს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიული, სტუდენტზე, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსიას, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას, ანალიზს, პრაქტიკულს, დემონსტრირებას. სწავლების პროცესში გამოიყენება ზემოთ ჩამოთვლილიდან ერთი ან რამდენიმე, ან ნებისმიერი სხვა მეთოდი პროფესორის შეხედულების შესაბამისად, რის შედეგად სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო მაგისტრის საქმიანობა - უფრო აქტიური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ფაკულტეტის დეკანთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მაგისტრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. სამაგისტრო პროგრამა იწყება იმ სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლით, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვა სასწავლო კურსების წარმატებით შესწავლას. მომდევნო სემესტრებში ხდება უკვე მიღებული ცოდნის საფუძველზე მაგისტრანტის ახალი კომპეტენციების შეძენა და არსებულის განვითარება, რომელიც ხორციელდება სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების და არჩევითი სასწავლო კურსების/თავისუფალი კრედიტების მეშვეობით მათი შესწავლის წინაპირობების გათვალისწინებით. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის კომპეტენციების დონე მაქსიმუმს აღწევს სამაგისტრო პროგრამის ბოლო სემესტრებში და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტის შესწავლისას შეძენილი კომპეტენციების სინთეზის საფუძველზე. ამასთან, პროგრამაში შემავალი ზოგიერთი კომპონენტის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები:

1. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსის ,,ფინანსური ანალიზი“ წინაპირობად წარმოდგენილია სასწავლო კურსი ,,მარკეტინგის მენეჯმენტი“, ხოლო აღნიშნული კურსების სილაბუსებში ეს ჩანაწერი მართებულად არ არის, შესაბამისად საჭიროა სასწავლო გეგმაშიც ,,ფინანსური ანალიზი“-ს სილაბუსის შესაბამისად დაკორექტირდეს წინაპირობა;
2. პრაქტიკის სილაბუსში წინაპირობად მითითებულია, რომ ,,პრაქტიკას სტუდენტი გადის სწავლების მე–3 სემესტრში“, თუმცა ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ პრაქტიკას 4-ე სემესტრში გადიან, შესაბამისად მიგვაჩნია, საჭიროა პრაქტიკის წინაპირობად არა სემესტრების რაოდენობა, არამედ სტუდენტის მიერ სავალდებულო დისციპლინების კრედიტების ათვისების რაოდენობა განისაზღვროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსის ,,ფინანსური ანალიზი"-ს წინაპირობა მოვიდეს თანხვედრაში ამავე კურსის სილაბუსთან;
- რეკომენდებულია პრაქტიკის წინაპირობად განისაზღვროს არა სემესტრების რაოდენობა, არამედ სტუდენტის მიერ სავალდებულო დისციპლინების ათვისებული კრედიტების რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში სტანდარტულად გამოიყენება დასწრება/აქტივობა, რომელიც ფასდება 5 ქულით, ხოლო თავის მხრივ აქტივობები ცალკე შეფასების ობიექტიცაა. აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების მხრიდან გაკეთდა განმარტება, რომ აქ მხოლოდ დასწრება იგულისხმება. გარდა ამისა, რეკომენდებულია

სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისას გამოყენებული იქნეს რეფერატები და პროექტები, განსაკუთრებით ისეთ სპეციფიკურ დისციპლინებში როგორიცაა: პროექტების მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, რისკების მართვა და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა; ▪ პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია სასწავლო კურსებში არსებული ჩანაწერი - დასწრება/აქტივობა რომელიც ფასდება 5 ქულით, დაკონკრეტდეს, ეს დასწრების ქულაა თუ აქტივობის; ▪ რეკომენდებულია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისას გამოყენებული იქნას რეფერატები და პროექტები, განსაკუთრებით ისეთ სპეციფიკურ სასწავლო კურსებში როგორიცაა: პროექტების მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი და ა.შ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და წესები მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე, შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორები სტუდენტებთან ერთად განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, ეხმარებიან მათ შედეგების გაუმჯობესებაში და უტარებენ კონსულტაციებს, რაც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კონსულტაციების ცხრილშია გათვალისწინებული. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კომპონენტების პროგრამებში (სილაბუსებში), რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ამასთან, საჭიროა განხორციელდეს პრაქტიკის სილაბუსში ცოდნის შეფასების კრიტერიუმების (წარმოდგენილია 10-იანი ბიჯით) რანჟირება, რაც კიდევ უფრო გაზრდის მათი გამჭირვალეობის ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- სასწავლო პროცესების მართვის ელ პორტალი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პრაქტიკის სილაბუსში მოცემული ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დეტალური რანჟირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადმინისტრაცია მაგისტრანტებს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან და სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებული ინფორმაციით და მაგისტრანტის მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო დახმარებით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ ისინი კმაყოფილები არიან იმ საკონსულტაციო მომსახურებით, რომელსაც იღებენ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/ .
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი "ბიზნესის ადმინისტრირების" საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ სრულყოფილ კონსულტაციებს ლექტორებისაგან ცხრილით გაწერილი საკონსულტაციო საათების მიხედვით. პროგრამაში არსებული დაგეგმილი საკონსულტციო საათების გარდა, ყოველი საგნის პროფესორთან შესაძლებელია ინდივიდუალურად საკონსულტაციო საათებზე წინასწარ შეთანხმება, ან ინდივიდუალურად მათთან მუშაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ "ბიზნესის ადმინისტრირების" საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო კონფერენციებში. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების კრებული და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება ხელს უწყობს მათ კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაშიც. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა აქტიური ცენტრები: ტელევიზია, რადიო, სპორტული დარბაზი და სხვ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმართველობა, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტური და სასწავლო ცხოვრების დაგეგმვასა და გაუმჯობესებაზე. დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით მაგისტრანტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელ-მისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექ-ნოლოგიები, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურა, ბეჭდური და ელექტრო-ნული სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზა, უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. კომპიუტერული ბაზა - კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და თანამედროვე კომპიუტერული პროგ-რამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ. მაგისტრანტებს შეუძლიათ დახმა-რებისთვის მიმართონ უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "ბიზნესის ადმინისტრირების" საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი მეტწილად ორიენტირებულია სწავლების ინტერნაციონალიზაციაზე, შემოწმების მომენტისათვის დაწესებულებამ წარმოადგინა სლოვაკეთის ევროპულ და ვარშავის უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებები (წარმოდგენილი იქნა არასრულად, აკლდა ხელმოწერა და თარიღი). უნივერსიტეტი უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისათვის სამეცნიერო ნაშრომების დაბეჭვდას, პროგრამის განმახორციელებელი ერთერთი პროფესორის განცხადებით მისი მონოგრაფიული კვლევა იბეჭდება უნივერსტეტის მხარდაჭერით. თუმცა, მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს როგორც სწავლების, ისე სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულების ინტერნაციონალიზაციაში, შესაბამისად რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის მასშტაბების გაზრდის მიზნით გააქტიურდეს მუშაობა: საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციების, საერთაშორისო ფორუმების ორგანიზაციის, საერთაშორისო კვლევითი პროექტებში მონაწილეობის, მოწვეული უცხოელი ლექტორების საჯარო ლექციების ჩატარების, საერთაშორისო აკადემიურ გაცვლით პროგრამებში აქტიური ჩართულობის მიმართულებით. ამასთან, ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ მოცემულ ეტაპზე დაწესებულებას დაწყებული აქვს მუშაობა ჩინეთის, საბერძნეთისა და რუმინეთის უნივერსიტეტებთან მომავალი თანამშრომლობის შესახებ, დაგეგმილია უნივერსიტეტის ბაზაზე ბიზნეს-ინკუბატორის შექმნა, უწყვეტი განათლების ხელშესაწყობად სასერთიფიკატო კურსების გახსნა და გაცვლით პროგრამა Erasmus +-თან თანამშრომლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "ბიზნესის ადმინისტრირების" საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პროფესორებისათვის შეთავაზებული იქნას ინტერნაციონალიზაციის პროცესებში ჩართვის მეტი შესაძლებლობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და პროექტის „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის - eIFL" მონაწილეთა კონსორციუმის წევრი), აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, კომპიუტერულ რესურს–ცენტრებს, ლაბორატორიებს, ინტერნეტის წვდომის საშუალებებს და სხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ტელევიზია, სადაც "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართულები არიან სხვადასხვა ეკონომიკურ და ბიზნეს სფეროში მიმდინარე საკითხებზე გადაცემების მომზადებაში. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობით. ექსპერტებმა დაათვალიეს შემდეგი ელექტრონული უცხოური ინტერნეტ-რესურსები: **Cambridge Journals Online** (https://www.cambridge.org/core); **IMF eLibrary** (http://www.elibrary.imf.org/?redirect=true) სადაც შესაძლებელია სტუდენტებმა მოიძიონ უცხოენოვანი ჟურნალები, სტატიები, წიგნები, რომელიც მათ სჭირდებათ კვლევასა და სწავლებაში. წამოსული მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პერიოდულად ახორციელებს ახალი სასწავლო ლიტერატურის შეძენის პროცესს. ექსპერტების მიერ შერჩევით მოხდა სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში დათვალიერება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე; ▪ ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 2 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი და 3 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს დარგის თეორიას, პრაქტიკას და პროფესიულ უნარებს, თუმცა სასურველია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების მეტად გააქტიურება. 2017 წლის დეკემბრის თვეში უნივერსიტეტში დამტკიცდა „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“, რომელიც სავარაუდოდ უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას. ექსპერტები ინტერვიურებისას სხვა მონაწილეებთან ერთად გაესაუბრნენ "ბიზნესის ადმინისტრირების" საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ უნივერსიტეტის ორ აფილირებულ პროფესორსა და ორ აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 37 სტუდენტი. ➢ ასევე, პროგრამის შემოწმებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების გარკვეულ ჯგუფში, კერძოდ, ინოვაციური მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, ელექტრონული კომერცია, საერთაშორისო მენეჯმენტი მითითებული იყო მხოლოდ ერთი პროფესორი, შესაბამისად არსებული ჩანაწერით ერთ პროფესორზე 4

საგანი მოდიოდა წასაკითხად, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიურებისას დაზუსტდა, რომ სილაბუსში მითითებული პროფესორი მხოლოდ ავტორია აღნიშნული სილაბუსების და მათ განხორციელებაში რეალურად ჩართულია სხვა პროფესორებიც. გამომდინარე, აქედან მიგვაჩნია, რომ საჭიროა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული იყოს არა მარტო სილაბუსის ავტორი, არამედ მისი წამკითხველი პერსონალიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის პირადი საქმეები.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია კონკრეტულ სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინოვაციური მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, ელექტრონული კომერცია, საერთაშორისო მენეჯმენტი) დაკონკრეტდეს, როგორც სილაბუსის ავტორი, ასევე მისი წამკითხველი პერსონალი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების მეტად გააქტიურება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. უნივერსიტეტის პერსონალი (მათ შორის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული სერვისი და სხვ.) უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას სამაგისტრო პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეხმარებიან მათ სწავლის პროცესში შექმნილი პრობლემების გადაჭრაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიურება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ▪ "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების შესწავლა მიმდინარეობს თანამედროვე ლიტერატურის, სახელმძღვანელოებისა და მასალების საფუძველზე, რომელიც სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის სახით მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, არსებობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში ბეჭდვური და

ელექტრონული ვერსიების სახით. თუმცა, ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგ. ფინანსური მენეჯმენტი (2008წ.), საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე) (2006წ., 2009წ.), პროექტების მენეჯმენტი (2009-2010წწ.)) მიზანშეწონილია სავალდებულო ლიტერატურის განახლება. გარდა ამისა, სასურველია პროგრამის ფარგლებში მეტად იყოს გამოყენებული ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ინტერნაციონალიზაციის პროცესების აქტივაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამათვრებულებთან;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- www.sdasu.edu.ge .

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში (მაგ. ფინანსური მენეჯმენტი (2008წ.), საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე) (2006წ., 2009წ.), პროექტების მენეჯმენტი (2009-2010წწ.)) ძირითადი ლიტერატურის განახლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის სილაბუსებში ძირითად და დამხმარე ლიტერატურაში მეტი ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურის შეთავაზება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის უზრუნველყოფისთვის წინასწარი ფინანსური გათვლებით შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, რაც ასახულია უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის 2018 წლის ბიუჯეტში. პროგრამის ბიუჯეტი ორიენტირებულია პროგრამის განვითარებაზე და გაუმჯობესებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის 2018 წლის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რეგულირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. მასში გათვალისწინებულია ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლი, რომელიც შრომის ბაზრის კვლევის, შემუშავებული კითხვარების საფუძველზე ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ახორციელებს პროგრამის გასავითარებლად საჭირო ცვლილებების დაგეგმვას და დანერგვას. სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით, უსდ-ში არსებობს გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი. გამოკითხვის შედეგების და ჩატარებული შემოწმება-შეფასების ანალიზის საფუძველზე ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ხარისხის უაზუნველყოფის სამსახურს გამოაქვს დასკვნა აღმოჩენილი ხარვეზების ან სასწავლო პროცესის სუსტი მხარეების შესახებ და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ გამოკითხვის შედეგები; ▪ "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ შრომის ბაზრის კვლევა; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- www.sdasu.edu.ge
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლში მეტი ყურადღება დაუთმოს დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შიდა შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება შემუშავებული ფორმებისა და კრიტერიუმების საშუალებით. ექსპერტების მიერ დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახდენენ სტუდენტები სპეციალური კითხვარების საშუალებით, რომელთა შედეგების გათვალისწინებასაც ახდენს შესაბამისი სამსახური. სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტ-რირების მიზნით ტარდება მონიტორინგი გამოკითხვის და ანკეტირების მეთოდით. სასწავლო კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები პერიოდულად აფასებენ სასწავლო პროცესსა და სასწავლო კურსებს. შიდა შე-ფასების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. SWOT-ანალიზი, რომელიც გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე და შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. უნივერსიტეტი გარე შეფასების მექანიზმად იყენებს აკრედიტაციის პროცესს. პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს. აკრედიტაციის დროს პროგრამის მიმართ რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიურება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- გამოკითხვის შედეგები;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

▪ შრომის ბაზრის კვლევა; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- www.sdasu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი - შპს

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

დავით სიხარულიძე

რუსუდან სეთურიძე

დავით ბურჯანაძე